

ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 34 00
 (მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა;

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (34 01).

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ ტერიტორიული ორგანოები.

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა (ათას ლარებში)	წლიური დაზუსტებული მოცულობა (ათას ლარებში)	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება (ათას ლარებში)	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	10 476.0	10 423.124	5 271.275	50.6 %

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- დამტკიცდა „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეიტნეგრაციო დახმარების“ პროგრამა და გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა 6 საგრანტო მიმართულებაზე გამარჯვებული არასამთავრობო

ორგანიზაცია. საგრანტო პროგრამა მოიცავს სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსებას, ასევე ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას; შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსებას; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობას; საცხოვრისით დროებით უზრუნველყოფას; იურიდიულ დახმარებას. პროგრამით გათვალისწინებულია ასევე არალეგალური მიგრაციის რისკებისა და სახელმწიფო სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისადმი მიმართული საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება;

- საანგარიშო პერიოდში მობილურობის ცენტრის მიგრანტთა ინფორმირებისა და კონსულტაციის განყოფილების მიერ საქართველოს მასშტაბით გაიმართა 27 საინფორმაციო შეხვედრა, ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმსა და ქ. თელავში, სადაც მიგრაციის თემით დაინტერესებულ მოქალაქეებს მიეწოდათ სანდო და უახლესი ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე, როგორცაა ლეგალური დასაქმების შესაძლებლობები და მათი სანდოობა საზღვარგარეთ, სავიზო პროცედურები და უცხო ქვეყანაში ცხოვრების წესები, სწავლა საზღვარგარეთ და გაცვლითი პროგრამები, მუდმივი ბინადრობა და თავშესაფარი, მიგრანტთა უფლებები, ტრეფიკინგის საფრთხეები, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები და მათი პრევენცია და სხვა.

- „მობილურობის ცენტრი“ -ს მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში:

- ✓ 25 ბენეფიციარს აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოფილ იქნენ მედიკამენტებით;
- ✓ 10 ბენეფიციარს დაუფინანსდა პროფესიული სწავლება;
- ✓ ბიზნეს-ტრენინგი გაიარა 47 ბენეფიციარმა;
- ✓ 14 დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღო მცირე ბიზნეს-გრანტი, ხოლო თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით საჭირო ხელსაწყოებით უზრუნველყოფილ იქნა 32 ბენეფიციარი;
- ✓ 3 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნა დროებითი საცხოვრებლით;
- ✓ საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდა 19 დაბრუნებულ მიგრანტს.

- ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა. საანგარიშო პერიოდში აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 139 პირს, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 27 პირს, ხოლო თავშესაფრის (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი) მინიჭებაზე უარი განეცხადა 118 პირს. საქმის წარმოება პირადი განცხადების საფუძველზე შეწყდა 224 პირზე, ხოლო პროცედურებზე გამოუცხადებლობის გამო - 111 პირზე;

- საანგარიშო პერიოდში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 45 საცხოვრებელი სახლი;

- მარტყოფში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განხორციელდა ობიექტის დაცვის მომსახურების შესყიდვა და დაფინანსდა

ცენტრის კომუნალური ხარჯები. ასევე, თავშესაფრის მამიებელთა საქმეების განხილვის უზრუნველსაყოფად განხორციელდა თარჯიმნის მომსახურების შესყიდვა.

1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, (34 02).

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური უსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება (ათას ლარებში)	საკასო შესრულების % წლიური დაუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	74 087.0	73 859.876	41 525 .771	56.2%

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებში 1312 ოჯახზე გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულებები, ხოლო კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი (ბინა) გადაეცა 736 ოჯახს.
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:
 - ✓ მიმდინარეობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებულ შენობებსა და ახალაშენებულ კორპუსებში ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის, წყლის, სანიაღვრე და სავენტილაციო სისტემების მიერთება-მოწყობისა და სახურავის გადახურვის სამუშაოები;

- ✓ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნ 293 საცხოვრებელი სახლი.
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 41 ბინის გამოსყიდვა;
- ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 62 ობიექტს;
- დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა: ქ. თბილისში: კალაუზნის ქ. N22-ში, დიდი დიდმის I მიკრო რაიონში, კაიროს ქ. N20-ში, დოდაშვილის ქ. N22-ში, ქუთაისში - ერისთავის ქ. N7-ში. მიმდინარეობს ბინების შესყიდვა: ქ. ქუთაისში - შმიდტის ქ. ნაკვეთ N2-სა და ნაკვეთ N3-ზე, ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან, ქ. თბილისში ც. დადიანის ქ. N7-ის ე-1 და ე-2 ბლოკებში და ახლადაშენებულ კორპუსებში ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“. დასრულდა ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N41-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ქ. ქუთაისში შერვაშიძის ქ. N53-ში, ქ. ზუგდიდში ბარამიას ქ. N7-ში და ქ. გორში მოსკოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე; ასევე, შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები: ქ. ქუთაისში, ნიკეას ქ. N21-ში, ქ. ზუგდიდში: ბერანძის ქ. N5-ში და დემურიას ქ. N1-ში, ქ. ბორჯომში, ვაშლოვანის ქ. N4-ში და ქ. თბილისში თბილისის ზღვის მიმდებარედ დევნილთა განსახლების ობიექტში;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 2 406 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 888 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა, (34 03).

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება (ათას ლარებში)	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
34 03	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	437.0	437.0	92.659	21,2%

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში სააგენტომ შეიმუშავა „დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა,“ რომლის ფარგლებშიც გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. საგრანტო კონკურსი გამოცხადდა 4 ლოტად: ლოტი N1 სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი; ლოტი N2 - იმერეთის რეგიონი; ლოტი N3 - შიდა ქართლის რეგიონი; ლოტი N4 - ქვემო ქართლის რეგიონი. ოთხივე რეგიონზე გამოვლინდა გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც 2016 წლის ივნისში დაიწყეს პროექტების განხორციელება და ჩაატარეს საინფორმაციო კამპანია სამიზნე რეგიონებში. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, სააგენტომ გამართა ღია კარის დღე, რომელსაც დაესწრო 30-მდე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ორგანიზაციები პროგრესის შესახებ ანგარიშს წარმოადგენენ ყოველთვიურად. სააგენტო ახორციელებს აღნიშნული საგრანტო პროგრამის ტექნიკურ მხარდაჭერას.

სსიპ- დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო აქტიურად აწარმოებს საარსებო წყაროების მიმართულებით დევნილთათვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანიას. ამ მიზნით, სააგენტომ საანგარიშო პერიოდში განახორციელა 23 სავლე ვიზიტი საქართველოს მასშტაბით, რომლის დროსაც დევნილ მოსახლეობას გააცნო ზემოთხსენებულ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის: პროფესიული განათლების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების, მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა, აგროდაზღვევის პროგრამა, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები და თავად სააგენტოს მიერ შემუშავებული სამი პროგრამა. გარდა ამისა, სააგენტომ ორგანიზება გაუწია საკოორდინაციო შეხვედრას ქ. ზუგდიდში, სადაც რეგიონში მომუშავე როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზე. სავლე ვიზიტების ფარგლებში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და სხვადასხვა სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლები) მიღებული საინფორმაციო ბროშურების გავრცელება დევნილ მოსახლეობაში.

სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. გორში გამართულ საკოორდინაციო შეხვედრაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა ორი საკოორდინაციო შეხვედრა. აღნიშნული საკოორდინაციო შეხვედრების მიზანია, მჭიდრო საკომუნიკაციო ჯაჭვის ჩამოყალიბება რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის, რაც მომავალში მოგვცემს პროექტების პრიორიტეტული მიმართულებებისა და სამიზნე ჯგუფების

შესახებ სრულ სურათს და დაგეგმვარება თავიდან ავიცილოთ შესაძლო გეოგრაფიული, მიზნობრივი და სექტორული გადაფარვები.

სააგენტო განაგრძობს დევნილთა რეგისტრაციას სამუშაოს მაძიებელთა ერთიან ბაზაში. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს თანამშრომლების მიერ დარეგისტრირდა 82 დევნილი, რომელთაგან 42 (51.2%) ქალია. გარდა ამისა, 398 დევნილმა მიიღო კონსულტაცია, როგორც სააგენტოს, ისე სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ საარსებო წყაროების მიმართულებით განხორციელებული პროგრამების შესახებ.

„იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად, სააგენტო ახორციელებს უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომების ორგანიზებას. აღნიშნული მიზნით, სააგენტომ განახორციელა ხსენებული სამოქმედო გეგმის შესრულებაში ჩართული უწყებებიდან წარმომადგენლების იდენტიფიცირება, რომლებიც უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომებში მიიღებენ მონაწილეობას. ასევე, დაკომპლექტდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ რეჟიმში უწყებათა საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებაზე. უწყებათაშორისი კომიტეტის პირველი შეხვედრა დაგეგმილია ივლისში.

„იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა დამატებითი სუბსიდირების პროგრამა, რომელიც მიმდინარე წლის 25 მაისს დასამტკიცებლად წარედგინა სააგენტოს მმართველ საბჭოს. პროგრამა ამოქმედდა მაისის ბოლოდან. სახელმწიფო აღნიშნული პროგრამის მიხედვით, დევნილს, რომელიც ფლობს 5ჰა რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში უფინანსებს დამატებით 10%, არაუმეტეს წლიურად გადასახდელი 200 ლარისა. საერთო ჯამში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მფლობელ დევნილს ორივე სააგენტოს ძალისხმევით უნაზღაურდება სადაზღვევო პაკეტის წლიური ღირებულების 90%. დევნილ ბენეფიციართა იდენტიფიცირების მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან. მიმდინარე წელს, მაისის თვის მონაცემებით, პროგრამაში ჩართულია 126 დევნილი.

უკიდურესად მოწყვლად დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა,“ რომელიც საარსებო წყაროების სააგენტოს მმართველმა საბჭომ მიმდინარე წლის 14 ივნისს დაამტკიცა. პროგრამით გათვალისწინებულია 2016 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ დევნილთა მხარდაჭერა, კერძოდ, ტრანსპორტირების ან საცხოვრებელი ფართის ქირის ხარჯების ანაზღაურება. პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა და მოკლე აღწერა ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნა ყველა იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც საგაზაფხულო მიღების შედეგად

ჩარიცხნენ სოციალურად დაუცველი დევნილები. ასევე, პროფესიულ სასწავლებლებს გაეგზავნათ განაცხადის ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს პროგრამაში ჩართვის მსურველმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა. საგაზაფხულო მიღებაზე ჩარიცხულია 93 სოციალურად დაუცველი დევნილი. ამ ეტაპზე მიღებულია 30-მდე განაცხადი.

სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNCHR) ერთობლივი პროექტის ტექნიკური მხარდაჭერით შეიქმნა საარსებო წყაროების პროექტებისა და მომსახურების მიმწოდებლების ერთიანი ბაზა. საანგარიშო პერიოდში ბაზაში მუშაობის დაწყების შემდეგ გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც აღმოფხვრილ იქნა და ამასთან, შემუშავდა მონაცემთა ბაზის ველების იდენტური ელექტრონული ფორმა, რომელიც 2016 წლის მაისის თვეში საარსებო წყაროების უზრუნველყოფის პროგრამებზე მომუშავე 70 ორგანიზაციიდან შესავსებად გაეგზავნა 23-ს. სრულყოფილად შევსებული ცხრილი მიღებულ იქნა 5 ორგანიზაციისგან.

სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საარსებო წყაროების მიმართულებით მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2016 წლის I კვარტალში ჩატარდა ორი სამუშაო შეხვედრა, რომელთა მიზანს წარმოადგენდა, ერთის მხრივ, დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესების მიმართულებით არსებული სირთულეების განხილვა, ხოლო მეორეს მხრივ, 2015 წელს ჩატარებული კვლევებისა და მათ შესაბამისად შემუშავებული რეკომენდაციების შეჯერება.

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან. მათგან მიღებული ბეჭდური მასალა ვიზიტების ფარგლებში ვრცელდება დევნილთა ჩასახლებებსა და ადგილობრივ გამგეობების საინფორმაციო დაფებზე, ასევე სამინისტროს მისაღებში. საანგარიშო პერიოდში საერთო ჯამში გავრცელებულია დაახლოებით 30 000-მდე ბროშურა.

მიმდინარე წელს განახლდა სამინისტროს ცხელი ხაზი და ითვალისწინებს რეფერალურ ზარებსაც. ცხელი ხაზის, მისაღები ცენტრის და რეგიონალური სამსახურების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ.

საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის თანახმად, გათვალისწინებულია არსებული საგრანტო/ვაუჩერების სისტემის გადახედვა განსაკუთრებით მოწყვლადი დევნილებისათვის სუბსიდირებისა და საგრანტო პროგრამებზე ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. სააგენტო ამ ეტაპზე შეისწავლის მიმდინარე პროგრამებს აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად სულ მცირე ერთი პროგრამის გამოვლენის მიზნით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წლიური გეგმით გათვალისწინებული აქვს კვარტალში ერთი ჯგუფური კონსულტაციის ჩატარება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ჯგუფის ტრენინგი. საერთო ჯამში 50-მდე იძულებით გადაადგილებულმა პირმა გაიარა ჯგუფური კონსულტაციები.

სააგენტო აქტიურად საქმიანობს სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში დევნილთა ჩარიცხვის მხარდასაჭერად. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგაზაფხულო მიღებაზე ჩარიცხულ იქნა 243 დევნილი. ამათგან 56 (23%) ქალია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად განხორციელდა საველე ვიზიტები დევნილთა ჩასახლებაში. ამ ეტაპზე 69 იძულებით გადაადგილებული პირი არის გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.